



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი



KA100107092866116

05 / აგვისტო / 2016 წ.

23/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებისა და საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულების“ მე-13 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განისაზღვროს სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ, წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

ა) A4 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი - 400 ფურცლამდე;

ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი - 400 ფურცლამდე.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში, ფონდის მიერ დადგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, საკუთარი ინიციატივით ან ფიზიკური პირის შუამდგომლობის საფუძველზე, პირის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მოსაკრებლის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ“ ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 25 ნოემბრის N62 ბრძანება.

4. დაევალოს ფონდის ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს - ნ. შეყლაშვილს, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დირექტორი



ირაკლი ჟორჟოლიანი